

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 3

კერძო ნაწილი

1. **დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ**
 - განზრახ მკვლელობა
 - განზრახ მკვლელობის მცდელობა
 - ხულიგნობა
2. **დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**
 - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება
ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძობით
 - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობა
3. **დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ**

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#661-აპ-09

11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

თ. თოდრია

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ნ-ნის, ასევე -ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორ ზ. მ-ვას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში -ხულიგნური ქვენაგრძნობით და ორი პირის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 1 საათზე, მ. მ-შვილი ახლობლებთან -ვ. ხ-შვილსა და ს. მ-იანთან ერთად იმყოფებოდა ქ. რუსთავში, კ-ს გამზირზე მდებარე რესტორან „კ-ში“, სადაც მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი. სუფრის დაშლის შემდეგ მ. მ-შვილი მარტო გამოვიდა რესტორნიდან და თავისი ახლობლების მოლოდინში გაჩერდა ავტომანქანების სადგომთან. ამ დროს რესტორნიდან გამოვიდნენ მისთვის უცნობი პირები -ზ. ბ-შვილი და ნ. შ-ძე.

მთვრალმა მ. მ-შვილმა თავისთან იხმო ზ. ბ-შვილი და მიახლოებისთანავე წინასწარ მომარჯვებული დანა უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით, მოკვლის მიზნით ორჯერ ჩაარტყა მუცლისა და გულმკერდის არეში, რითიც მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მუცლის ღრუს ჰემოპერიტონიუმისა და გულმკერდის მიდამოს ნაკვეთი ჭრილობების ტრავმული ჰემორაგიული შოკის სახით.

აღნიშნულის დანახვისთანავე ზ. ბ-შვილთან დასახმარებლად მიიღობინა ნ. შ-ძემ. მ. მ-შვილმა ასევე უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით, ორი პირის მკვლელობის განზრახვით, მასაც ორჯერ ჩაარტყა დანა გულმკერდის უკანა ნაწილში, რითიც ნ. შ-ძეს მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით: მარცხენა მხარეს -წელის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა და გულმკერდის მარცხენა მხარეს -ნაკვეთი ჭრილობა, არშემავალი პლევრის ღრუში.

მ. მ-შვილმა თავისი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგან დაზარალებულების ყვირილზე რესტორნიდან გამოვიდნენ იქ მყოფი პირები. მ. მ-შვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მაგრამ მალევე დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დანაშაულის იარაღით ხელში.

ზ. ბ-შვილი და ნ. შ-ძე მოათავსეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საავადმყოფოში და სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენის შედეგად გადაურჩნენ სიკვდილს.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. მ-შვილს მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 18 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. მ-შვილმა და მისმა ადვოკატმა ა. ბ-ლმა. მათ ითხოვეს მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და მისი პირობით ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით, 120-ე მუხლით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით.

კასატორები -მსჯავრდებული მ. მ-შვილი და ადვოკატი ნ. ნ-ნი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ მ. მ-შვილს არ ჰქონია ზ. ბ-შვილისა და ნ. შ-ძის მკვლელობის განზრახვა; ამასთან, ჩხუბის ინიციატორები იყვნენ დაზარალებულები, ხოლო მსჯავრდებული თავს იცავდა. გარდა

ამისა, საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა სსსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლები, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია.

გამომდინარე აღნიშნულიდან, კასატორები ითხოვენ განაჩენის შეცვლას, მ. მ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

პროკურორი ზ. მ-ვა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა მსჯავრდებულის ჩვენება, რომ შემთხვევამდე მასსა და ზ. ბ-შვილს შორის მოხდა კონფლიქტი; ამას არც ერთი მოწმე არ ადასტურებს; სააპელაციო პალატას ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ მ. მ-შვილმა უმიზეზოდ მიაყენა დაზიანება ნ. შ-ძეს, რომელთანაც არანაირი შემხებლობა ჰქონია; ამიტომ სასამართლოს მოსაზრება მსჯავრდებულსა და დაზარალებულ ზ. ბ-შვილს შორის არსებული კონფლიქტის თაობაზე მცდარია და ემყარება მხოლოდ მსჯავრდებულის მიერ მოგონილ ჩვენებას; სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მ. მ-შვილის ქმედება ნ. შ-ძის ნაწილში დამდგარი შედეგის მიხედვით; ამასთან, სსსკ-ის 27-ე მუხლით, აღნიშნული დანაშაული კერძო ბრალდების საქმეს წარმოადგენს და გამოძიება უნდა დაიწყოს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, რაც საქმეში არ არის.

პროკურორის აზრით, მ. მ-შვილის ქმედება შეიცავს ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი პირის მკვლელობის მცდელობას, რადგან მ. მ-შვილს ნ. შ-ძისა და ზ. ბ-შვილის დანახვაზე აღედრა მათი მოკვლის განზრახვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მ. მ-შვილის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პროკურორი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ მ. მ-შვილმა უგულვებელყო საზოგადოებაში არსებული ქცევის წესები, რესტორნიდან გამოსულმა შემთხვევით შეარჩია მსხვერპლი - ზ. ბ-შვილი და ნ. შ-ძე, რომლებსაც ხულიგნური ქვენაგრძნობით, ორ-ორჯერ დაარტყა დანა და გაიქცა.

პალატა აღნიშნავს, რომ პროკურორის მიერ გადმოცემული და საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები სხვა არაფერია, თუ არა ქმედების ობიექტური შერაცხვა (რაც დაუშვებელია ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე), რამდენადაც მსჯავრდებულის ქცევის მოტივი საბრალდებო დასკვნაში არ ჩანს და მასზე არც სახელმწიფო ბრალმდებელი მიუთითებს. მ. მ-შვილის მიმართ სააპელაციო პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განაჩენი გაუქმდა იმის გამოც, რომ არ იყო დადგენილი ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნები (მოტივი, განზრახვის შინაარსი). საკასაციო პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაში ასევე მითითებულია ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი დანაშაულის დასასაბუთებლად დასადგენი გარემოებები და ამ საკითხზე პალატა აღარ მსჯელობს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ყველა განზრახვი დანაშაულის ჩადენისას პირს ამოძრავებს გარკვეული მოტივი, საბაზი, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ კანონმდებლობით - უპირობოდ დასადგენი.

მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავადც ცხადია, რომ ბრალდების მხარის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები (ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანის მიერ სრულიად უმიზეზოდ, ორი უცნობი პირის მოკვლის მცდელობა) შორს დგას ობიექტური ჭეშმარიტებისაგან. ამასთან, საქმეში არსებული მასალები, მათი სრულად გამოკვლევისა და ობიექტური ანალიზის პირობებში იძლევა მტკიცების საგნის ყველა გარემოების დადგენის შესაძლებლობას, კერძოდ:

დაზარალებულები - ზ. ბ-შვილი და ნ. შ-ძე მიუთითებენ, რომ რესტორანში ისხდნენ მუსიკოსების ოთახში, სადაც ხალხი მოძრაობდა, მაგრამ ვინმესთან თუნდაც შელაპარაკებას ადგილი არ ჰქონია.

რესტორანში მ. მ-შვილის თანმხლები ვ. ხ-შვილი განმარტავს პირიქით - მუსიკოსების ოთახში შესულს, მუსიკის შეკვეთასთან დაკავშირებით უთანხმოება მოუვიდა ზ. ბ-შვილთან. ეს უკანასკნელი იყო ძალიან აგრესიული და ამას მოჰყვა ყოველივე.

რესტორნის მუსიკოსი გ. ღ-ძე განმარტავს, რომ ვ. ღ-შვილი "ძალაუვნებურად" წავიდა ოთახში მყოფი ბიჭებისკენ და ერთმანეთს რაღაც უთხრეს, საუბარი 10-15 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ხმაურში მისი შინაარსი ვერ გაიგო.

დაზარალებულ ზ. ბ-შვილის ჩვენების საპირისპიროდ, რომ მას მ. მ-შვილი რესტორანში არც კი უნახავს, მოწმე გ. ღ-ძე სასამართლოში განმარტავს, რომ ოთახიდან გამოსვლის შემდეგ ზ. ბ-

შვილსა და მის თანმხლებ პირებთან მ. მ-შვილი იდგა ორ მეტრში, თუმცა ხმამაღალი მუსიკის გამო ვერ იტყვის, "რაზე საუბრობდნენ".

ავტოსადგომის დარაჯმა ი. ფ-უამ აღნიშნა, რომ მუსიკოსების ოთახთან მისთვის უცნობი 5-6 ბიჭი საუბრობდა.

გარდა ამისა, მოტივის დასადგენად მნიშვნელობა ჰქონდა მ. მ-შვილის დამკავებელ პოლიციელთა ჩვენებებს, რომელთაც სათანადო ყურადღება არ მიექცა. მათ აღნიშნეს, რომ მ. მ-შვილი აღელვებული იყო, დანა დაადგო და იძახდა -დედა შემაგინეს, მაგრამ არ შევარჩინეო.

ამდენად იკვეთება, რომ მსჯავრდებულსა და დაზარალებულებს შორის ჯერ კიდევ რესტორანში წარმოიშვა კონფლიქტური ვითარება და სიტყვიერი შეურაცხყოფის -დედის გინების გამო მ. მ-შვილმა გამოიყენა დანა შურისძიების მოტივით. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ობიექტურია და მას საკასაციო პალატაც იზიარებს.

პალატა აქვე აღნიშნავს, რომ ზოგჯერ პირი შესაძლოა მოქმედებდეს შურისძიების მოტივით, თუმცა ობიექტურად ამის საბაზი არ არსებობდეს. ასეთ შემთხვევაშიც კი, მატერიალური კანონის სწორად გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნებს აქვს, რომელთა უტყუარად დადგენას ემსახურება ქმედების ობიექტური მხარის ნიშნები.

საკასაციო პალატა იზიარებს პროკურორის საჩივრის მოტივებს ნ. შ-ძის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან მ. მ-შვილს ნ. შ-ძის მიმართ რაიმე კონკრეტული მოტივი არ ამოდრავებდა, მსჯავრდებულის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დამდგარი შედეგის მიხედვით -120-ე მუხლით.

როგორც აღინიშნა, ხელახლა განსახილველად საკასაციო პალატის მიერ საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველი ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნების დაუდგენლობა იყო, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მაინც ვერ დაადგინა ნ. შ-ძის სხეულის დაზიანების მოტივი. პროკურორი ამაზეც ამახვილებს ყურადღებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში პირის განზრახ ქმედებას შესაძლოა არც მოჰყვეს შედეგი (ადამიანს ასცდეს ნასროლი ტყვია ან მოქნეული დანა), მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ქმედების შედეგის მიხედვით დაკვალიფიცირების საფუძველი. მართლსაწინააღმდეგო შედეგი განზრახ დანაშაულებზე ვერ იქნება ქმედების სამართლებრივად სწორად შეფასების კრიტერიუმი.

ნ. შ-ძის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებულ ეპიზოდში მ. მ-შვილის ქმედების სსკ-ის 120-ე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ქმედების ობიექტური მხარის მხოლოდ ერთ ნიშანს -მართლსაწინააღმდეგო შედეგს. რაც შეეხება ნ. შ-ძისათვის დანის ორჯერ დარტყმას გულმკერდისა და წელის მიდამოში, ეს გარემოება სააპელაციო პალატას არ შეუფასებია.

გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა მ. მ-შვილის ჩვენებასაც. განაჩენში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს მხოლოდ ზ. ბ-შვილმა შეაგინა, თუმცა მ. მ-შვილის ჩვენებით, მას არაერთი პირი აგინებდა. მსჯავრდებულის ამ განმარტებასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ დაზარალებულ ნ. შ-ძეს არ ახსოვს, შეაგინა თუ არა მ. მ-შვილს. იგი სააპელაციო სასამართლოში აღნიშნავს: "გინებით არა მგონია, რომ შემეგინებინოს".

პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის საჩივრის მოტივს, რომ მ. მ-შვილი მოქმედებდა ორი პირის მოკვლის განზრახვით. საბრალდებო დასკვნიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, ნ. შ-ძემ მოგვიანებით, დასახმარებლად მიირბინა ზ. ბ-შვილთან. პროკურორი აღნიშნავს, რომ მ. მ-შვილმა, დანით დაჭრა რა ზ. ბ-შვილი, დაელოდა ნ. შ-ძეს და მასაც დანა დაარტყა. თუმცა გაუგებარია, რატომ არ დაელოდა მ. მ-შვილი შემთხვევის ადგილზე დაზარალებულთა თანმხლებ მესამე პირსაც.

მართალია, საკასაციო პალატამ თავისი 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით უარყო ორი პირის მოკვლის განზრახვა, მაგრამ ეს უპირობოდ არ უნდა გამხდარიყო მ. მ-შვილის ქმედების სსკ-ის მე-19,109-ე მუხლიდან მე-19,108-ე და 120-ე მუხლებზე გადაკვალიფიცირების საფუძველი, მით უფრო, რომ უნდა გარკვეულიყო განზრახვის შინაარსიც, კერძოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში ორ-ორჯერ დანის დარტყმისას მ. მ-შვილი ითვალისწინებდა თუ არა დაზარალებულების სიკვდილის შესაძლებლობას, სურდა თუ არა ეს შედეგი და თუ არ სურდა -შეგნებულად ხომ არ უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. დადებით შემთხვევაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხომ არ აღედრა მსჯავრდებულს ზ. ბ-შვილისა და ნ. შ-ძის მოკვლის განზრახვა. ამ შემთხვევას ითვალისწინებდა 2007 წლის 2 აგვისტომდე მოქმედი სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტი (მკვლელობის მცდელობა არაერთგზის).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. შ-მის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაუსაბუთებელია, რადგან გაურკვეველია განზრახვის შინაარსი და მხედველობის მიღმა დარჩენილი ქმედების ობიექტური მხარის ნიშნებიც.

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულისა და მისი დამცველის მოტივებს, თითქოს მ. მ-შვილი იძულებული გახდა, დანა გამოეყენებინა. შეკრებილი მტკიცებულებები ნათლად მეტყველებს, რომ მსჯავრდებულმა დანა გამოიყენა არა თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, არამედ შურისძიების მოტივით. რაც შეეხება მ. მ-შვილის ქმედების კვალიფიკაციას, ამ საკითხზე პალატა ვერ იმსჯელებს, რადგან დაუდგენელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, გაურკვეველია და მსჯელობის გარეშე დატოვებული ქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარის ნიშნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც ჯეროვნად უნდა გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება, სრულყოფილად შეისწავლოს საქმის მასალები და იმსჯელოს მათზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ნ-ნის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

პროკურორ ზ. მ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განაჩენი მ. მ-შვილის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#767-აპ-09

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. კ-ოს დამცველის, ადვოკატ ვ. კ-იანის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მეზნილი ი. კ-ო, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით დაუსწრებლად იქნა მსჯავრდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ი. კ-ოს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ავხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული, მ. გ-ა ბოლო ორი წლის განმავლობაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ქ. ფოთში, ... ქ. #-ში მცხოვრებ ა. ა-ნ. ერთად ცხოვრების პერიოდში მ. გ-ა სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ა. ა-ს, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, 2007 წლის და-

საწყისში დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი და წასულიყო საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში. 2007 წლის 25 აგვისტოს ა. ა-ა თურქეთიდან დაბრუნდა საქართველოში და მივიდა ქ. ფოთში, . . . ქ. #-ში მცხოვრებ ბებიასთან -ე. კ-თან. მასთან ამ უკანასკნელის გარდა იმყოფებოდა ა. ა-ას ნახევარძმა -ი. კ-ო. ა. ა-ს საქართველოში დაბრუნება ცნობილი გახდა მ. გ-თვის, რომელიც მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში, ფაქტობრივი მეუღლის სანახავად მივიდა მისი ბებიის საცხოვრებელ სახლში. იქ მისვლის შემდეგ მ. გ-ამ მოსთხოვა ა. ა-ას აეხსნა მისი წასვლის მიზეზი. მათ შორის საუბარი გადაიზარდა ურთიერთმეხლა-შემოხლაში, რაშიც ჩაერია ა. ა-ს ნახევარძმა -ი. კ-ო. მან მკაცრი ტონით უბრძანა მ. გ-ს დაეტოვებინა სახლი, რაზედაც მისგან მიიღო უკმეხი პასუხი, ამასთან, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მ. გ-ა სცემდა ა. ა-ს. ყოველივე ზემოაღნიშნულით გადიხანებულმა ი. კ-მ ოთახში მდგარი მაგიდიდან აიღო ხისტარიანი საოჯახო დანა და განზრახ, მოკვლის მიზნით, სამჯერ დაარტყა მ. გ-ას მუცლისა და გულმკერდის არეში, რის შემდეგ ეს უკანასკნელი გავიდა ოთახიდან და სადარბაზოს წინ უგონო მდგომარეობაში მყოფი წაიქცა. თავის განზრახვაში -მ. გ-ს მკვლელობის სისრულეში მოყვანაში -დარწმუნებულმა ი. კ-მ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო სასიკვდილოდ დაჭრილი მ. გ-ა გადაიყვანეს ქ. ფოთის საავადმყოფოში, მაგრამ იქ მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. კ-მ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ, მისი ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემასა და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონია მ. გ-ს მოკვლის განზრახვა, არამედ იგი იცავდა თავს და თავის დას, რომელსაც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მათთან სტუმრად მისული მ. გ-ა.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ი. კ-მ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა პ. კ-მ მხარი დაუჭირეს სააპელაციო საჩივარს, ამასთან, დააზუსტეს საჩივრის მოთხოვნა -მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ მსჯავრდებული იმყოფებოდა თავდაცვის მდგომარეობაში და ქმედება ჩადენილი იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2009 წლის 27 ივლისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ვინაიდან მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ი. კ-ს მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. კ-ს დამცველმა, ადვოკატმა ვ. კ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. კ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან აღნიშნული ქმედების ჩადენისას იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ხოლო სასამართლომ ამ გარემოებას არ მისცა სამართლებრივი შეფასება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ იური კრავჩენკოს მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებული ი. კ-ო ქმედების ჩადენისას იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რადგან ასეთი ვერსია საქმის მასალებით არ დასტურდება. საქმეში არსებული მტკიცებულებებით სარწმუნოდ არის დადგენილი, რომ მკვლელობის ჩადენისას ი. კ-ო არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, არამედ ადგილი ჰქონდა შურისძიების მოტივით ჩადენილ განზრახ მკვლელობას. თვით მსჯავრდებულ ი. კ-ს მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებიდანაც კი არ გამოდინარეობს, რომ ქმედების ჩადენის ანუ აწ გარდაცვლილ მ. გ-ის დანის რამდენჯერმე დარტყმის მომენტში იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. ამასთან, საქმეში არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ი. კ-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებას, ხოლო ბრალდების მტკიცებულებები, რომლებითაც უტყუარად დგინდება ი. კ-ს ბრალი განზრახ მკვლელობის ჩადენაში, მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ კონფლიქტის ინიციატორი, რასაც მკვლელობა მოჰყვა, რეალურად იყო დაზარალებული – აწ გარდაცვლილი მ. გ-ა, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა მსჯავრდებულსა და მის დას – ა. ა-ს, რომლებიც იმყოფებოდნენ საკუთარ სახლში და ა. გ-ს ითხოვდნენ, შეეწყვიტა მათ მიმართ თავისი შეურაცხმყოფელი მოქმედება. აღნიშნული გარემოება სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი. კ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. კ-ს სასიკეთოდ, კერძოდ, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 2 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. კ-ს დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. კ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით – შეუმცირდეს 2 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა; განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად

განჩინება

#872-აპ-09

29 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ვ. როინიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-სა და მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ა-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის განაჩენით:

გ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" და მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 აგვისტოდან.

ჯ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" და მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 6 აგვისტოდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების: გ. ე-სა და ჯ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული განაჩენის მიხედვით შემდეგში:

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში მცხოვრებ გ. ე-სა და ... რაიონის დაბა ...-ში მცხოვრებ ნ. მ-ს წლების განმავლობაში უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ნ. მ-ი მოიტაცა და ცოლად შეირთო ... რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებმა ა. ყ-მ, რომელთანაც მას შეეძინა შვილი -გ. მ-ი. აღნიშნულის შემდეგ ნ. მ-ი გამორდა ქმარს, ა. ყ-ს და ცხოვრობდა თავის და-ძმასთან -მ. და მ. მ-თან ერთად ... რაიონის დაბა-ში ხსენებულ პერიოდში იგი სისტემატურად ხვდებოდა გ. ე-ს. 2008 წლის 28 ივლისს, ა. ყ-ი ჩავიდა დაბა ... შვილის დაბადების დღეზე და რამდენიმე დღით დარჩა ნ. მ-ს სახლში, რა დროსაც სთხოვდა მეუღლეს შერიგებას.

2008 წლის 3 აგვისტოს ნასვამმა გ. ე-მ და მისმა მეგობარმა, ასევე ნასვამმა ჯ. ბ-მ გადაწყვიტეს, წასულიყვნენ დაბა ...-ში ნ. და მ. მ-ს სანახავად. როდესაც ისინი ნ. მ-ს სახლში მივიდნენ, ნ-ს ძმის -მ. მ-საგან შეიტყვეს, რომ ნ. მ-ი სტუმრად იმყოფებოდა იქვე, მეზობლად მცხოვრებ ბ. ა-ს ოჯახში, რის შემდეგაც გ. ე-ი გაემართა ბ. ა-სთან, ხოლო ჯ. ბ-ი დარჩა შეყვარებულ მ. მ-თან. ბ. ა-ს შვილის -ჟ. ა-საგან გ. ე-სათვის ცნობილი გახდა, რომ ნ. მ-ი თავის მეუღლე ა. ყ-სთან, მეზობელ ბ. ა-სთან და მის მეუღლე მ. ი-სთან ერთად იმყოფებოდა დაბა ...-ში არსებული სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მდებარე აუზზე. გ. ე-ი დაბრუნდა თავის მეგობარ ჯ. ბ-სთან და ერთად გაემართნენ აუზისკენ, რა დროსაც განიზრახეს, შური ეძიათ ა. ყ-ზე, ვინაიდან იგი თავს არ ანებებდა გ. ე-ს შეყვარებულ ნ. მ-ს. აუზთან მისვლისას, გ. ე-მ ამოიღო თანაქონი, გასაშლელი, ე.წ. „ბაბოჩკას“ ტიპის დანა და ჯგუფურად, განზრახ მოკვლის მიზნით, რამდენჯერმე გულმკერდის არეში დაარტყა ა. ყ-ს, რომელიც წელში მოიხარა, ხოლო ჯ. ბ-ი, მკვლელობის განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, განაგრძობდა ხელებითა და ფეხებით მისთვის სხეულის დაზიანებების მიყენებას. ა. ყ-მ თავდამსხმელებს გაქცევით დააღწია თავი, თუმცა მიღებული დაზიანებების შედეგად იგი გარდაიცვალა. მამინ, როდესაც ბ. ა-ი გამოესარჩლა ა. ყ-ს, ჯ. ბ-მ მისი ჯგუფურად, განზრახ მკვლელობის მიზნით, მარცხენა ხელის ყელზე მოხვევით გააკავა იგი და მარჯვენა ხელით დაუწყო ფიზიკური დაზიანებების მიყენება. გ. ე-მ ისარგებლა ბ. ა-ს შეზოჭილი მდგომარეობით და ორი პირის მკვლელობის განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დანის რამდენჯერმე დარტყმით ბ. ა-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ჯ. ბ-სთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ბ. ა-მ გაქცევით უშველა თავს, იგი გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის #1 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც გადაუდებელი სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შედეგად მას შეუნარჩუნდა სიცოცხლე, რის გამოც გ. ე-სა და ჯ. ბ-ს განზრახვა ბ. ა-ს მკვლელობის ნაწილში ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი. ა. ყ-ს გვამი აღმოჩენილ იქნა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრის მოშორებით, სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ფერმასთან მისასვლელ საავტომობილო გზის განაპირას.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. ე-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ე-ს ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან, ასევე მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან სსკ-ის 108-ე მუხლზე -ა. ყ-ს მკვლელობის ეპიზოდში, ხოლო სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე -ბ. ა-ს ეპიზოდში და სასჯელის შემსუბუქებას.

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ჯ. ბ-ს გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; ვერც ბრალდების მხარემ დაასაბუთა და ვერც სასამართლო გამოძიებისას დადგინდა ჯ. ბ-ს განზრახვა, მოტივი, მიზანი. განაჩენში მითითებულია, რომ თითქოს გ. ე-ი და ჯ. ბ-ი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით, რაც საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არანაირად არ დგინდება. ჯ. ბ-ი არის უდანაშაულო, უკანონობის მსხვერპლი; საქმეშია უამრავი საეჭვო გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენით გ. ე-სა და ჯ. ბ-ს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა ჯგუფურად და ორი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მსჯავრდებულების -გ. ე-სა და ჯ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სამართლებრივ კვალიფიკაციას, ა. ყ-ს ეპიზოდში ჯგუფურად გან-

ზრახ მკვლელობის ჩადენაში; ამ ნაწილში ჯ. ბ-ს ქმედებაში საერთოდ არ არის დანაშაულის ნიშნები, გ. ე-ს ქმედებაში ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობას შურისძიების მოტივით, ხოლო ბ. ა-ს ეპიზოდში -ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას, კერძოდ:

მოწმე ნ. მ-ს ჩვენებით: "...ჯ. რომ დაინახა, ადგა, მისკენ ორი ნაბიჯი გადადგა, მასთან მივიდა და უთხრა, წინ წადი, თორემ ა. და გ. იჩხუბებენო. იმიტომ შეეშინდა, რომ ა. იძახდა, გ. თუ შემხვდება, არ ვაცოცხლებო. ჯ. არაფერი უპასუხა და წინ წავიდა. ჯ. თან ელაპარაკებოდა, თან მიჰყვებოდა. მოწმის განმარტებით, ეს ყველაფერი წამებში მოხდა. გ-მ ა. მანამდე დაჭრა, სანამ ჯ. აუზთან მივიდოდა. ჯ-სგან ორი ნაბიჯით უკან იყო. ამ დროს აუზთან რაც ხდებოდა, ხედავდა. სანამ გ. მივიდოდა, ა. და ბ. აუზთან იდგნენ. გ-ს აჩიკოსთვის ან ბენგოსთვის არაფერი უთქვამს, არც შეუგინებია, არც აჩიკოს ხმა გაუგია. გ. პირდაპირ ა-სთან მივიდა, დანა მოუქნია და მარცხენა მხარეს გვერდულად დაარტყა. ხელის მოქნევა რამოდენიმეჯერ დაინახა. ა. თავს იცავდა, მას არაფერი არ ჰქონია ხელში. მხოლოდ ხელებს იქნევდა. ამ დროს ბ. იდგა გ-ს უკან, ა. კი გ-ს წინ. როდესაც ბ-მ დაინახა რაც მოხდა, გ.ს უთხრა: „ჩემი ძმაკაცია, ვინ ხარ რას ჩხუბობო“. გ. მიბრუნდა ბ-სკენ და მასაც დანა მოუქნია. ამ დროს ჯ. უკვე მისული იყო. გ. როდესაც მიბრუნდა ბ-სკენ და ა-მ ნაბიჯი გადადგა, შეეჯახა ჯ-ს და ჯ. ხელი რამოდენიმეჯერ დაარტყა ა-ს. შემდეგ თავი დაანება“.

დაზარალებულ ბ. ა-ს ჩვენებით, ა. ყ-ს იცნობდა და მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ხოლო გ. ე-ს და ჯ. ბ-ს არ იცნობდა. დაზარალებულის განმარტებით, მას ყველაფერი არ ახსოვს, რადგან იმ დღეს მთვრალი იყო. აუზთან მისასვლელ გზაზე პატარა გუბეებია, თუმცა ისეთი ადგილი, რომ ფეხი მუხლამდე ჩაგივარდეს, არ არის. აუზიდან რომ ამოვიდა, ა. მისგან ოთხი-ხუთი მეტრის დაშორებით იდგა. ამ დროს მისი მეუღლე და ნ. სად იყვნენ, არ იცის. ძაღლის აშვება უნდოდა, მაგრამ ვერ მივიდა ძაღლამდე, რადგან ვიღაცამ უკნიდან ხელი შემოხვია, იგრძნო, რომ მის უკან იყო ღონიერი, მაღალი კაცი, რომელმაც ზურგში მუშტით ცემა დაუწყო. ერთდროულად იგრძნო მუშტის და დანის დარტყმა. არ იცის რამდენჯერ მოხვდა. ახსოვს, რომ გათავისუფლებას ცდილობდა, სცადა ძალით ჩაკუჭულიყო, რა დროსაც თავი დააღწია, ცოლიც მიატოვა, რადგან შეეშინდა და გაიქცა. შეამჩნია, რომ ვინც ურტყამდა, თეთრი მოკლემკლავიანი მაისური ეცვა. იცის, რომ ერთმა დაიჭირა. არ შეუძლია იმის თქმა, ერთი პირი ურტყამდა, თუ ორი. მერე მეუღლისაგან შეიტყო აუზზე რაც მოხდა. მეუღლემ უთხრა, რომ ჯ. და გ. სცემდნენ. მის მეუღლეს კი -რომელიც მის დახმარებას ცდილობდა, ხელი ჰკრეს და ეს უკანასკნელი წაიქცა. მეუღლისაგან გაიგო, რომ ა. ორნი სცემდნენ. ჯერ გ. მისულა ა. და დანას ურტყამდა, რა დროსაც ჯ. მისულა და მუშტებითა და ფეხებით ურტყამდა. მეუღლემ უთხრა, რომ შენც გინდოდა ა. დახმარებოდი, ყვიროდი, რას შვრებითო, რა დროსაც ორივე შენ მოგიბრუნდაო.

მოწმე მ. ი-ს ჩვენებით, გ. ა-ს დანას რომ ურტყამდა, დაინახა ჯ., რომელმაც ჯერ ნ. გამოუარა, მერე -მას. მოწმის განმარტებით, ა-სთან ჯერ გ. მივიდა და დაახლოებით ხუთი ნაბიჯის მერე მივიდა ჯ..

ზემოაღნიშნული ჩვენებებიდან გამომდინარე, იმ დროს, როდესაც ჯ. ბ-ც მივიდა ა. ყ-თან, გ. ე-ს დანა უკვე დარტყმული ჰქონდა ა. ყ-სათვის, მან კი რამდენჯერმე ფეხი დაარტყა.

ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ჯ. ბ-მ და გ. ე-მ ჯგუფურად ჩაიდინეს ა. ყ-ს განზრახ მკვლელობა, რადგან ჯ. ბ-ს მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამგარ შედეგს შორის არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი, რის გამოც ჯ. ბ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ა. ყ-ს მკვლელობის ეპიზოდში, ხოლო ბ. ა-ს მკვლელობის მცდელობის ეპიზოდიდან მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობის ეპიზოდში. შესაბამისად, გ. ე-ს ბრალდებიდან უნდა ამოერიცხოს მაკვალიფიცირებელი გარემოება "ჯგუფურად" და მისი ქმედება ამ ეპიზოდში (ა. ყ-ს მკვლელობის ეპიზოდი) უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლით -განზრახ მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე.

ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ასევე არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ. ე-მ ჩაიდინა ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

საბრალდებო დასკვნიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, როდესაც ბ. ა-მ დაინახა, რაც მოხდა და იგი ა. ყ-ს გამოესარჩლა, ამ დროს გ. ე-ი მიბრუნდა მისკენ და მასაც დანა მოუქნია. ამდენად, გ. ე-ს ბ. ა-ს მკვლელობის განზრახვა წარმოეშვა მას შემდეგ, რაც მან დაჭრა ა. ყ-ი და ბ. ა-მ სცადა ამხანაგის დახმარება, რაც არ ქმნის ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის შემადგენლობას, არ დასტურდება რა გ. ე-ს საერთო განზრახვა ორი ან მეტი პირის მკვლელობისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ე-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე

მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით (ა. ყ-ს ეპიზოდი), უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლზე. გ. ე-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით. მსჯავრდებულ გ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტითა (ა. ყ-ს მკვლელობის ეპიზოდი) და მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით. საბოლოოდ მას საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით უნდა მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ე-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

მსჯავრდებულ გ. ე-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით (ა. ყ-ს ეპიზოდი), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლზე.

მსჯავრდებულ გ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 5 აგვისტოდან.

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტითა (ა. ყ-ს მკვლელობის ეპიზოდი) და მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტით მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 6 აგვისტოდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა; ხულიგნობა

განჩინება

#28-აპ-10

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ც-ძის დამცველი ადვოკატების -თ. მ-ისა და გ. დ-შვილის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ც-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით; აღნიშნული კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მსჯავრდებულ ი. ც-მეს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -3000 ლარის ოდენობით.

განაჩენით ი. ც-მეს მსჯავრი დაედო ისეთ დანაშაულში, როგორცაა განზრახ მკვლელობა, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და ხულიგნური ქვენაგრძობით, აგრეთვე ხულიგნობა, ჩადენილი ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 16.45 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა განყოფილების უფროსის მოადგილე ი. ც-მე, მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების გადახდის მიზნით, მივიდა ქუთაისში, ... ქუჩის, მესამე ჩიხი #4-ში მდებარე სს "ენერგოპროჯორჯის" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის შენობაში. სალაროსთან მას შპს "ატლანტის" თანამშრომელმა გ. ყ-შვილმა, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ახორციელებდა ხსენებული ობიექტის დაცვას, აუხსნა, რომ სალარო უკვე დაკეტილი იყო და ვერ მოახერხებდა თანხის გადახდას. განაწყენებულმა ი. ც-მემ ლანძღვა-გინებით გამოხატა უკმაყოფილება, მოითხოვა სალაროს გახსნა და ენერგოკომპანიის თანამშრომლების მიერ ფულის მიღება. გ. ყ-შვილმა და ხმაურზე შეკრებილმა თანამშრომლებმა მოსთხოვეს მას შენობის დატოვება და აუხსნეს, რომ თანხის გადასახდელად მისულიყო მომდევნო დღეს.

ენერგოკომპანიის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, ი. ც-მემ განაგრძო რა ხულიგნური ქმედება, გადაინაცვლა ქუჩაში და ადმინისტრაციული შენობის წინამდებარე ტერიტორიაზე დაუწყო გინება ენერგოკომპანიის თანამშრომლებს, იმავდროულად წელზე შეზღუდული ტყავის ბუდიდან მარჯვენა ხელით ამოიღო თანაქონი, სამსახურებრივი სარგებლობის "Hშ-9" მოდელის, H65744 ნომრის მქონე პისტოლეტი, ძალადობის მუქარის გამოსახატავად მოიყვანა იგი საბრძოლო მდგომარეობაში და მოახდინა მისი დემონსტრირება. სიტუაციის განმუხტვისა და ხულიგნობის აღკვეთის მიზნით ენერგოკომპანიის თანამშრომლები: კ. რ-მე და გ. ყ-შვილი დანარჩენ თანამშრომლებთან ერთად მიუახლოვდნენ მას და მოსთხოვეს, შეენახა იარაღი, შეეწყვიტა ლანძღვა-გინება და მიეცა მათთვის სამუშაოს ნორმალურად გაგრძელების საშუალება. ნაცვლად კანონიერი მოთხოვნის შესრულებისა, ი. ც-მე საბრძოლო მდგომარეობაში არსებული იარაღით ირგვლივ შეკრებილებს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, იმავდროულად კი მისი უკანონო ქმედების აღმკვეთ კ. რ-მეს მუშტი დაარტყა სახეში.

ი. ც-მე შეკრებილი საზოგადოების მიმართ ამგვარი ფორმით განაგრძობდა გინებასა და იარაღის გამოყენების მუქარას. დაცვის მუშაკი -გ. ყ-შვილი შეეცადა მის განიარაღებას, რა დროსაც ი. ც-მემ მისი მოკვლის მიზნით პისტოლეტიდან მისი მიმართულებით ერთხელ გაისროლა, რითაც ყ-შვილს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შედეგადაც, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, გ. ყ-შვილი 2009 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. ც-მის დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-შვილმა. აპელანტი ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: აპელანტის აზრით, განაჩენის დადგენისას სასამართლომ უგულვებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები, რის გამოც ი. ც-მის მიმართ გამოტანილი განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ის არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან; სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სს "ენერგოპროჯორჯის" თანამშრომლებმა ი. ც-მის მიმართ განახორციელეს უკანონო ძალადობა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, ამოეღო იარაღი, მაგრამ მას არ ჰქონია ვინმეს მოკვლის განზრახვა, რაც იმით დასტურდება, რომ ც-მემ იარაღიდან მჭიდი ამოიღო მანამდე, სანამ ამ იარაღიდან მის ლულაში ჩარჩენილ ტყვიას ისროდა; სასამართლო უსაფუძვლოდ ეყრდნობა მოწმე კ. რ-მის ცრუ ჩვენებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა, უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო ისინი სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ვინაიდან მიიჩნია უსაფუძვლოდ. ამავე დროს 2009 წლის 24 ნოემბრის გა-

ნაჩენით სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ განაჩენში ი. ც-ძის სასიკეთოდ შეიტანა შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, ხოლო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლზე. მას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 6 თვის ვადით, საბოლოოდ ი. ც-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2009 წლის 13 იანვრიდან. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -2500 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ვ. კ-ძემ და მსჯავრდებულ ი. ც-ძის დამცველმა ადვოკატებმა -თ. მ-მა და გ. დ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები, ადვოკატები -თ. მ-ი და გ. დ-შვილი თავიანთ საჩივრებში მიუთითებენ, რომ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე არაობიექტური და დაუსაბუთებელია; მსჯავრდებულ ი. ც-ძის ქმედებაში მოიპოვება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის და არა -განზრახ მკვლელობის ნიშნები; კასატორების აზრით, უსაფუძვლოა ასევე ი. ც-ძის მიმართ შერაცხული ხულიგნობის ბრალდება, რის გამოც ისინი ითხოვენ მოცემულ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

კასატორი, პროკურორი ვ. კ-ძე თავის საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ც-ძეს უსაფუძვლოდ მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდებები, რადგან საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ი. ც-ძის მიერ ამ დანაშაულების ჩადენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. ც-ძის სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ც-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნათა საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის, პროკურორ ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების თაობაზე იმ მოტივით, რომ, მისი აზრით, მსჯავრდებულ ი. ც-ძეს სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მოუხსნა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენის ბრალდება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით. არც მოწმეთა ჩვენებებით და არც დაზარალებულ ვ. რ-ძის ჩვენებებით არ დგინდება, რომ იმ მომენტში, როდესაც ი. ც-ძემ მის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღი გაისროლა, რასაც გ. ყ-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, სს "ენერგოპროჯორჯის" თანამშრომლების მოქმედება მიმართული იყო ი. ც-ძის ხულიგნური ქმედების აღსაკვეთად, რა დროსაც ის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა. თავის ჩვენებებში დაზარალებული ვ. რ-ძე არსად არ უთითებს, რომ იგი შეეცადა ან რაიმე მოიმოქმედა საერთოდ ი. ც-ძის ხულიგნური ქმედების აღსაკვეთად. ვ. რ-ძე აღნიშნავს, რომ იგი ჩაერთო ი. ც-ძესთან დაწყებულ ჩხუბში, რა დროსაც მოხდა ფიზიკური ურთიერთმეხება და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, რაც არ ნიშნავს ხულიგნობის აღმკვეთ ქმედებას. ასევე, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ი. ც-ძის მიმართ ხულიგნობის აღსაკვეთად მოქმედებდა აწ გარდაცვლილი გ. ყ-შვილი და რომ ამ დროს იგი ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. საქმის მასალებით -როგორც მოწმეების, ისე დაზარალებულ ვ. რ-ძის ჩვენებებით, აგრეთვე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და შემთხვევის ადგილის საერთო სურათებით ირკვევა, რომ ის ადგილი, სადაც გ. ყ-შვილის მკვლელობა მოხდა, საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული სს "ენერგოპროჯორჯის" შენობიდან და მდებარეობს ქუჩაში. ამიტომ ხსენებული კასატორის ვერსია, რომ მკვლელობის ჩადენის მომენტში აწ გარდაცვლილი გ. ყ-შვილი ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, ვერ იქნება მიჩნეული საფუძვლიანად, ვინაიდან ეს ადგილი არ წარმოადგენდა გ. ყ-შვილის სამოქმედო ტერიტორიას. ამასთან, მას უშუალოდ თავისი დაწესებულების შენობაშიც კი

არ უცდია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ი. ც-მის ხულიგნური ქმედების აღკვეთა აქტიური და ქმედითი ზომების სახით. იგი ი. ც-მის მიმართ მხოლოდ სიტყვიერი მოწოდებით დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მართლაც დატოვა შენობა და გაემართა ქუჩისაკენ. სწორედ ამ დროს მოხდა ხელახალი კონფლიქტი დაზარალებულ კ. რ-მესა და მსჯავრდებულ ი. ც-მეს შორის, რომელშიც ჩაერთვნენ სს "ენერგოპროჯორჯის" სხვა თანამშრომლებიც, მათ შორის -გ. ყ-შვილი, მაგრამ ამ დროისათვის ი. ც-მეს ხულიგნური ქმედება უკვე შეწყვეტილი ჰქონდა და, როგორც მართებულად მიუთითებს სააპელაციო სასამართლო, ზემოაღნიშნული პირები განაწყენებულნი მიუახლოვდნენ მას, რათა სამაგიერო გადაეხადათ მის მიერ ჩადენილი ხულიგნობისათვის. ამ დროს ი. ც-მემ ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო მისკენ დაძრული ადამიანთა დიდი ჯგუფის შესაჩერებლად და მათ შესაშინებლად დამუხტული იარაღი ზევით ასწია, თან იმახდა -"რას შვრებით, პოლიციის თანამშრომელი ვარო". მიუხედავად ამისა, მისკენ მიმავალი ჯგუფი არ შეჩერებულა, უფრო მეტიც -გაისმა მოწოდება, რომ მისთვის იარაღი წაერთმიათ, რის შემდეგაც გ. ყ-შვილი, კ. რ-მე და სხვა თანამშრომლები უკვე ხელში სწვდნენ ი. ც-მეს, ხოლო ზოგიერთმა იმავდროულად მისი შებოჭვა სცადა. მის სამსახურებრივ მგლობელობაში არსებული ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღის დაკარგვის თავიდან აცილების მოტივით, შეშინებულმა ი. ც-მემ მოახდინა გასროლა. ამ დროს, მართალია, მას არ სურდა ვინმეს მოკვლა, მაგრამ მაინც გაისროლა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მან შეგნებულად დაუშვა ადამიანის სიკვდილის დადგომა, თუმცა მას არ ჰქონია და აღნიშნულ სიტუაციაში ვერც ექნებოდა კონკრეტულად განსაზღვრული, თუ ვინ იქნებოდა მის მიერ გასროლილი ტყვიის მსხვერპლი, ხოლო ასეთი აღმოჩნდა აწ გარდაცვლილი გ. ყ-შვილი. ი. ც-მის მხრივ ევენტუალური განზრახვის არსებობაზე ისიც მიუთითებს, რომ მან იარაღი გაისროლა მხოლოდ ერთხელ.

სააპელაციო სასამართლოს თავის განაჩენში გამოტანილი აქვს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ი. ც-მემ ხულიგნური ქმედება ჩაიდინა ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ, ხოლო ასეთ პირად მიჩნეულია დაზარალებული კ. რ-მე. საქმე იმაშია, რომ არც მოწმეთა ჩვენებებიდან და არც თვით დაზარალებულ კ. რ-მის ჩვენებებიდან არ გამომდინარეობს, რომ ხელმეორე კონფლიქტის დაწყებამდე და ი. ც-მის მიერ იარაღის ამოღებამდე, ანუ ამ უკანასკნელის მიერ ხულიგნობის შეწყვეტამდე, კ. რ-მე რაიმე ისეთ მოქმედებას ასრულებდა, რაც მიმართული იქნებოდა ხულიგნობის აღსაკვეთად. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ი. ც-მემ ჩაიდინა გ. ყ-შვილის მკვლელობა ევენტუალური განზრახვით დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, მაგრამ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ი. ც-მემ ხულიგნობა ჩაიდინა მაკვალიფიცირებელ გარემოებაში -ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ, რადგან ასეთი რამ უტყუარად არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით. ამიტომ მსჯავრდებულ ი. ც-მის ქმედება ხულიგნობის ნაწილში -საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის პირველ ნაწილზე.

ზემოთ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების -ი. ც-მის დამცველი ადვოკატების მიერ თავიანთ საკასაციო საჩივრებში წარმოდგენილ ვერსიას მსჯავრდებულის მიერ არა განზრახ მკვლელობის, არამედ -გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ჩადენის თაობაზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც სარწმუნოდ დადასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოებები დანაშაულის ჩადენისას ი. ც-მის გაუფრთხილებლობით მოქმედების შესახებ. მართალია, ადვოკატი თ. მ-ი თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნული ვერსიის სასარგებლოდ მიუთითებს მრავალ გარემოებაზე, მაგრამ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას შეხება არა აქვს ი. ც-მის მიერ ჩადენილი მკვლელობის მომენტთან და ამ დროს არსებულ ვითარებასთან, რის გამოც მათ ვერ მიენიჭება ისეთი მნიშვნელობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ კვალიფიკაციაზე, ხოლო დაცვის მხარის მიერ მითითებული სხვა გარემოებები, რომლებიც უშუალოდ ეხება მკვლელობის მომენტს, ობიექტურად არ ასახავს ი. ც-მის მიერ გ. ყ-შვილის განზრახ მკვლელობის ჩადენის მომენტში არსებულ ფაქტობრივ ვითარებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასეთივე შეფასება უნდა მიეცეს დაცვის მხარის იმ მოსაზრებას, რომელიც მიმართულია იმის დასადასტურებლად, რომ მომხდარი შემთხვევის დროს მსჯავრდებულ ი. ც-მეს ხულიგნობა არ ჩაუდენია. ასეთი პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სს "ენერგოპროჯორჯის" შენობაში ყოფნისას და აღნიშნული შენობიდან გარეთ გასვლის დროს ი. ც-მემ ნამდვილად ჩაიდინა ხულიგნური ქმედება, რა დროსაც გამოხატული იყო ძალადობის მუქარა აღნიშნული დაწესებულების თანამშრომელთა მიმართ, უდავოა, რასაც მოწმობს როგორც მოწმეების ჩვენებები, ისე აღნიშნული კონფლიქტისას მოვლენათა

განვითარების სურათიც, სადაც აშკარად იკვეთება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ამრიგად, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა კვალიფიკაცია მსჯავრდებულ ი. ც-მის ხულიგნური ქმედების ნაწილში, კერძოდ: სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც ამ ნაწილში განაჩენის შეცვლის საფუძველია, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 564-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტებისა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ ი. ც-მის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ ვ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ი. ც-მის დამცველი ადვოკატების -თ. მ-ისა და გ. დ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. ც-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მთლიანად დაემატოს იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე ი. ც-მის მიმართ დანიშნულ სასჯელს -13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, რის შედეგადაც მსჯავრდებულ ი. ც-მეს საბოლოო ძირითად სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის მიმე დაზიანების მცდელობა

#109-აპ-10

7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის განაჩენით დ. მ-ეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმავე კოდექსის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 23 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენით დ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2009 წლის აპრილში იგი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. 2009 წლის 12 ივნისს, დაახლოებით 14 საათზე, როდესაც ი. ლ-ე კუთვნილი ავტომანქანით მეუღლესთან -ნ. ჩ-ესა და მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის # საცხოვრებელ ბინასთან განთავსებულ ვულკანიზაციაში, დ. მ-ე, იყო რა უსაფუძვლოდ განაწყენებული ი. ლ-ეზე, დანით შეიარაღებული მივიდა მასთან, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მომარჯვებული დანით მარჯვენა დუნდულოს ქვემო მესამედში, მარჯვენა ბარძაყის ზემო მესამედის ზემო და წინა ნაწილებში მიაყენა სამი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. დ. მ-ის დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა 5-6 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ი. ლ-ემ გაუწია მას წინააღმდეგობა და სცადა მისი მოგერიება. ამის მიუხედავად, დ. მ-ემ კვლავ განაგრძო ი. ლ-ისა და მისი ოჯახის წევრების სიტყვიერი შეურაცხყოფა და შემდეგ გაეცალა შემთხვევის ადგილს.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. მ-ეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 12 ივნისიდან; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა -3500 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ჯ. ბ-ემ. მან ითხოვა დ. მ-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით და სასჯელის ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულის ადვოკატი ჯ. ბ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დ. მ-ის მიმართ უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის წლების მანძილზე მტრული დამოკიდებულება არსებობდა; სწორედ ი. ლ-ის ცრუ დასმენით იყო დაჭერილი დ. მ-ე. ამდენად, არსებობდა საკმაო მოტივი, რომ დ. მ-ეს შურისძიების ნიადაგზე სხეულის განზრახი დაზიანება მიეყენებინა ი. ლ-ისათვის; რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას, ასეთს მსჯავრდებულის წინასწარ განზრახვასა და ქმედებაში ადგილი არ ჰქონია; მისი მიზანი იყო მხოლოდ ი. ლ-ისათვის სხეულის დაზიანების მიყენება, რაც აღასრულა კიდევ და შემთხვევის ადგილს გაეცალა. სიტყვები -„უხეში“ და „აშკარა“ სპეციალურად არის ჩაწერილი კანონმდებლის მიერ სსკ-ის 239-ე მუხლის დისპოზიციაში და ეს განასხვავებს მას სხვა სახის დანაშაულებისაგან, თორემ წესრიგი თითქმის ყველა დანაშაულის ჩადენის დროს ირღვევა; სააპელაციო პალატის მიერ განხილულ მტკიცებულებებში -დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებში -მითითებულია მხოლოდ დ. მ-ის მიერ ი. ლ-ის დაჭრის ფაქტზე, მაგრამ არსად არ არის ნახსენები საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ფაქტი და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატველი ქმედებები. შეურაცხმყოფელი სიტყვები მხოლოდ პიროვნების შეურაცხმყოფელი იყო და არა -მთლიანად საზოგადოების ან მისი ნაწილის; გარდა ამისა, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლი არ იცნობს „საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფის“ ინსტიტუტს, რაც ნახსენებია განაჩენში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ჯ. ბ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განაჩენის შეცვლას, დ. მ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების მოხსნას, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 120-ე მუხლით და 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

მსჯავრდებული დ. მ-ე თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დაავადებულია ტუბერკულოზით და ითხოვს სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმ ნაწილში, რომლითაც დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ მსჯავრდებულ დ. მ-ეს ხულიგნობა არ ჩაუდენია. საფუძველი ასეთი დასკვნისათვის გამომდინარეობს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამძღვრებიდან: შემთხვევის ადგილზე ყოფნისას და ქმედების ჩადენისას დ. მ-ე გინებითა და მუქარით მიმართავდა მხოლოდ დაზარალებულ ი. ლ-ეს და იმავდროულად სამჯერ დაარტყა მას დანა მარჯვენა ქვედა კიდურის ზედა ნაწილში. მართალია, შემთხვევის ადგილზე, კერძოდ, იმ ადგილიდან რამოდენიმე მეტრის მანძილზე, სადაც დ. მ-ემ დანით დაჭრა ი. ლ-ე, ვულკანიზაციის ჯიხურში იმყოფებოდნენ სხვა პირებიც, მაგრამ მათ მიმართ, როგორც დამსწრე საზოგადოების მიმართ, დ. მ-ეს არავითარი აგ-

რესია არ გამოუმჯავნებია და არც შეურაცხყოფა მიუყენებია ვინმესთვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას არ გააჩნდა საზოგადოებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება აღნიშნულ მომენტში. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მისი მოქმედება იყო მკაფიოდ მოტივირებული, ხოლო მოტივაცია გამომდინარეობდა დ. მ-ესა და ი. ლ-ეს შორის წინათ არსებული ურთიერთობებიდან, რაც დაკავშირებული იყო დაზარალებულის საჩივრისა და ჩვენებების საფუძველზე დ. მ-ის მსჯავრდებასთან და რის შედეგადაც დ. მ-ე ი. ლ-ის მიმართ განმსჭვალული იყო შურისძიების გრძნობით. საკასაციო პალატა დაასკვნის, რომ ასეთ პირობებში დ. მ-ის ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული (ხულიგნობა) შემადგენლობის არსებობაზე მსჯელობისათვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ დ. მ-ის ქმედება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 120-ე მუხლზე და შეფასდეს როგორც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით, ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული დაზიანების მიყენების მექანიზმი, ლოკალიზაცია და გამოყენებული საშუალება იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის განზრახვა ქმედების ჩადენისას მიმართული იყო არა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისაკენ, არამედ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაკენ. დადგენილია, რომ მან ზედიზედ სამჯერ, ჯიქურ განახორციელა დანით მიზანმიმართული დარტყმა დაზარალებულ ი. ლ-ის ქვედა მარჯვენა კიდურის, კერძოდ, ბარძაყის ზემო ნაწილის მიმართულებით, სადაც გადის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არტერიები, რომელთა დაზიანება სამედიცინო თვალსაზრისით ფასდება როგორც მძიმე და სიცოცხლისათვის საშიფათო. იმას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ დადგა, ხელი შეუშალა დ. მ-ის ნებისაგან დამოუკიდებელმა შემთხვევითმა გარემოებამ, სახელდობრ, დაზარალებულ ი. ლ-ის სწრაფმა რეაქციამ და მანევრირებამ მისკენ მიმართული დარტყმების ასაცილებლად, რაც დასტურდება არამარტო დაზარალებულის ჩვენებებით, არამედ მოწმე ნ. ჩ-ის ჩვენებებითაც. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განზრახი დანაშაულის დაკვალიფიცირება ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით არამართებულია, ასეთი შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებელი დანაშაულის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარწმუნოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ადეკვატური სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. მ-ის მიერ დაზარალებულ ი. ლ-ის მიმართ ჩადენილია არა ხულიგნობა, არამედ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. მ-ის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული დარღვევა -სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს, კერძოდ, დ. მ-ის ქმედება სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის მე-19, 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ დ. მ-ის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას, მხედველობაში იღებს რა ჩადენილი ქმედების ხასიათს, საქმის სხვა გარემოებებს, მსჯავრდებულის ნასამართლობას ძალადობრივი დანაშაულისათვის და მის სხვა პიროვნულ მახასიათებლებს, რაც მან გამოავლინა დანაშაულის ჩადენისას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც წარმოადგენს აუცილებელ ზომას დამნაშავის გამოსწორებისა და მისი რესოციალიზაციისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. მ-ის ადვოკატ ჯ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: დ. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის მე-19, 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -3 500 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით

განჩინება

#935-აპ-09

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-სა და მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის განაჩენით:

დამტკიცდა ა. შ-ს, მისი ინტერესების დამცველ, ადვოკატ ი. ნ-სა და ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს დადებული საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

ა. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილით (1999 წლის რედაქცია) 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. შ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების შემთხვევაში სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩეთვალოს 2009 წლის 9 თებერვლიდან 2009 წლის 10 თებერვლამდე ბრალდებულის სახით დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო -1 დღე.

ა. შ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება -გირაო -გაუქმდა და გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი თანხა.

ა. შ-ს საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. მ-ი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 3 თებერვლიდან.

ზ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით -3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით -7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 25 თებერვლიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 18.00 საათზე, ... რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრები გ. გ-ე დასთან -თ. გ-სთან, მცირეწლოვან დისშვილ ბ. გ-სა და დის მეუღლე ზ. გ-სთან ერთად ავტომანქანით, რომელსაც მართავდა ზ. გ-ე, ბრუნდებოდა ... რაიონის სოფელ ...-დან, პაპის ტ. ბ-ს პანაშვიდიდან. მგზავრობისას სოფელ ...-თან, საავტომობილო გზის შუა ნაწილში, საპირისპირო მიმართულებით გაჩერებული იყო ა. შ-ს თეთრი მიკროავტობუსი, რის გამოც ზ. გ-მ შეაჩერა ავტომანქანა და იმავე გზაზე მდგომი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ა. შ-ს, მის თანასოფელ ზ. ს-სა და გ. მ-ს სთხოვა, მიეცათ გზაზე გავლის შესაძლებლობა. ზ. გ-ს კანონიერი მოთხოვნით უსაფუძვლოდ განაწყენებულმა თანასოფლელებმა დაუწყეს მას და მის თანმხლებ პირებს დედისა და ახლობლების გინება, რითაც დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხა-

ტეს აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი. სიტუაციაში გარკვევის მიზნით მოუწოდეს მათ, შეეწყვიტათ შეურაცხყოფის მიყენება. მიუხედავად ამისა, ა. შ-მ, ზ. ს-მ და გ. მ-მ განიზრახეს რა ხულიგნური ქმედების ჩადენა, ხელებითა და ფეხებით სახისა და სხეულის სხვა ადგილებში ცემა დაუწყეს ზ. გ-ს და გ. გ-ს. ჩხუბის დროს ზ. ს-მ გ. გ-სათვის სხეულის დაზიანების მიყენების მიზნით მოიმარჯვა თანაქონი, გამოძიებით დაუდგენელი ბასრი საგანი და ამ უკანასკნელს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მუცლის მარჯვენა გვერდით ზედაპირზე - მუცლის ღრუში შემავალი, ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობის სახით ღვიძლის დაზიანებით. ზ. გ-მ და გ. გ-მ მოახერხეს ბოროტმოქმედებისაგან თავის დაღწევა და ჩასხდნენ ავტომანქანაში. განაგრძობდნენ რა ხულიგნობას, ა. შ-მ ხელში მომარჯვებული ქვებით ჩაამსხვრია ზ. გ-ს ავტომანქანის 10 ლარად ღირებული, უკანა საქარე მინა. ზ. გ-მ თანმხლებ პირებთან ერთად მოახერხა გასცლოდა შემთხვევის ადგილს და სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად დაჭრილი გ. გ-ე მიიყვანა შპს „... ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში“, სადაც ამ უკანასკნელს ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია.

მომდევნო დღეს მომხდარი ინციდენტი ცნობილი გახდა ა. შ-ს მამის - ბ. შ-სათვის და იგი დახმარებისათვის მივიდა ზ. ს-ს ნათესავთან, სოფელ ... ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულ მ. ს-სთან, რომელიც დაჰპირდა მას პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღეში მ. ს-მ სამივე თანამზრახველს შესთავაზა თანაბრად გადაეხადათ გ. გ-ს მკურნალობისათვის საქირო თანხა. ხსენებული თანხიდან ზ. ს-მ მ. ს-ს გადასცა 600 ლარი, ბ. შ-მ - 500 ლარი, ხოლო გ. მ-ს მამის - შ. მ-ს მიერ გადახდილ იქნა 200 ლარი, რადგან დანარჩენი ნაწილის გადახდაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მის შვილს არ მიუყენებია გ. გ-სათვის სხეულის დაზიანება. აღნიშნული გარემოება გახდა გ. მ-სა და მ. და ზ. ს-ს შორის კონფლიქტის წარმოშობის საფუძველი.

2008 წლის 5 ნოემბერს, სადამოს საათებში, გ. მ-სათვის ცნობილი გახდა, რომ ზ. ს-ს ოჯახში ვახშობდნენ ამ უკანასკნელის ძმა ზ. ს-ე, მ. ს-ე და სხვა თანასოფლელები. ისიც მივიდა მათთან და დაიწყო ღვინის სმა. სუფრაზე მ. ს-ს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს არ დაეთანხმა გ. მ-ი და საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა, რაც საბოლოო ჯამში გადაიზარდა ურთიერთშელაპარაკებასა და ლანძღვა-გინებაში დედისა და ახლობლების მისამართით, რის გამოც ზ. ს-მ გ. მ-ი გააძევა სახლიდან. კიდევ უფრო განაწყენდა რა მ. ს-ზე, გ. მ-მ განიზრახა შურისძიების მოტივით ამ უკანასკნელის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გადაწყვიტა, მ. ს-ს ჩასაფრებოდა სოფლის საკრებულოს შენობასთან და მოეკლა იგი. ამ მიზნით, 2008 წლის 6 ნოემბერს, დაახლოებით 8.30 საათზე, გ. მ-ი ფეხით მივიდა სოფელ ...-ის მოპირდაპირე მხარეს არსებულ, ა. ხ-ს სავაჭრო ჯიხურში და დაელოდა რწმუნებულის გამოჩენას. რამდენიმე წუთში შენიშნა ფეხით საკრებულოს შენობისკენ მიმავალი მ. ს-ე, გაჰყვა უკან და დაელოდა ხელსაყრელ მომენტს. გ. მ-ი საკრებულოს ეზოში არსებულ თაღში შესვლისთანავე მიუახლოვდა მას და ხელში მომარჯვებული, გამოძიებით დაუდგენელი ბასრი საგნით მიაყენა მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, ბადექონის, ჯორჯლის, ჯორჯლის არტერიის, წვრილი ნაწლავებისა და მარჯვენა ბარძაყის არტერიის დაზიანებით, რის შედეგადაც დაზარალებული გარდაიცვალა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ს-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

ზ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1999 წლის 22 ივნისის რედაქცია) 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ი. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი საფუძველით: ა) აღნიშნული განაჩენით გ. მ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში არის დაუსაბუთებელი, ხოლო სსკ-ის 108-ე მუხლით მისთვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს; ბ) გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ზ. ს-ს მიერ

ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან არასწორად გადაკვალიფიცირდა 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

მსჯავრდებული გ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ ი. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და გ. მ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულების -ზ. გ-ს, გ. გ-ს, ლ. ბ-ს ჩვენებებით, მოწმეების -გ. ს-ს, ნ. შ-ს, ა. ხ-ს, მ. მ-ს, ი. კ-ს, შ. მ-სა და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) შერაცხულ ბრალდების ნაწილში დასაბუთებულია, ხოლო დანიშნული სასჯელი სამართლიანია, რის გამოც ამ ნაწილში არ არსებობს პროკურორ ი. კ-სა და მსჯავრდებულ ა. მ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულ ა. შ-ს ჩვენებით, დაზარალებულების -გ. გ-ს, თ. გ-ს, ზ. გ-ს ჩვენებებით, მოწმეების -მ. გ-ს, ი. კ-სა და სხვათა ჩვენებებითა და სხვა მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ზ. ს-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1999 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივარს, რომ მსჯავრდებულ ზ. ს-ს ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, გ. გ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ეპიზოდში, უკანონოა.

გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ზ. ს-ს მიმართ ბრალად შერაცხული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ შემდეგნაირად დაასაბუთა: „...სამართლებრივად არასწორია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნაწილში ზ. ს-ს ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ხულიგნური მოტივით მოქმედება მიეკუთვნება თვით ხულიგნობის შემადგენლობას და იგი იმავდროულად ვერ განიხილება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობის ნიშნად. იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულს ბრალად შეერაცხა იარაღად სხვა საგნის გამოყენებით ხულიგნობის ჩადენა, ამავე ქმედების შედეგი -სხეულის მძიმე დაზიანება ხულიგნობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს არ საჭიროებს“.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება აღნიშნულ მსჯელობას და მიაჩნია, რომ მოცემული ბრალდების ნაწილში ზ. ს-ს ქმედება მოიცავს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, რომ ზ. ს-მ ჩაიდინა ხულიგნობა ჯგუფურად, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, კერძოდ, ხულიგნობის ჩადენის დროს მან ბასრი საგნით დაჭრა და ამით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიყენა გ. გ-ს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალია, რომ მითითებული ეპიზოდი წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. ს-მ ხულიგნური ქმედების დროს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა გ. გ-ს ხულიგნური მოტივით. საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილი არ მოიცავს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, როგორც მაკვალიფიცირებელ ნიშანს და, შესაბამისად, ზ. ს-ს ქმედება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ნაწილში საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, აგრეთვე ამ მუხლის შესაბამისი ნაწილითა და ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ხულიგნური ქვენაგრძნობით თან ახლავს ხულიგნობის ჩადენაც, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ვინაიდან არც სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი მოიცავს ხულიგნობას და, როგორც აღვნიშნეთ, არც პირიქით, სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილი მოიცავს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას.

ამდენად, მსჯავრდებულ ზ. ს-ს ბრალდების ამ ეპიზოდში სახეზეა არა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, არამედ 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით, რაზეც კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს სააპელაციო პალატამ და შესაბამისად ამ ნაწილში მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

განჩინება

#797აპ-09

22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენით რ. კ-ე დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19,108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება და გადაზიდვა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, ასევე, მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებმა რ. კ-ემ დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 7,62 მმ კალიბრის "AKM-ს" მოდიფიკაციის ავტომატური ცეცხლსას-

როლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა - არანაკლებ 32 ვაზნა, რომლებიც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში.

2008 წლის მარტში რ. კ-ე და მის მეზობლად მცხოვრები პოლიციელი თ. ა-ე იმყოფებოდნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ ა. ლ-ას ოჯახში გამართულ ქორწილში, სადაც მთვრალმა რ. კ-ემ თ. ა-ეს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით. აღნიშნულის გამო მათ შორის დაწყებული კამათი გადაიზარდა ჩხუბში, რის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

2008 წლის 4 მაისს, დაახლოებით 15.³⁰ საათზე, საკუთარი სახლთან მყოფ თ. ა-ესთან მივიდა რ. კ-ე და კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რ. კ-ემ განიზრახა ზემოაღნიშნული ავტომატით თ. ა-ეს მოკვლა და დაემუქრა კიდევ მას. განზრახვის განსახორციელებლად რ. კ-ემ თავისი სახლიდან ქუჩაში გამოიტანა ავტომატი და დაახლოებით 45 მეტრი მანძილიდან დაუმიზნა სახლის ჭიშკართან, ქუჩაში სკამზე მჯდარ თ. ა-ეს, კვლავ დაემუქრა მოკვლით და მისი მიმართულებით ისროლა 4-ჯერ, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან დაზარალებულმა თავი შეაფარა თავის ეზოს, ხოლო რ. კ-ე მიიშალა. ძებნილმა რ. კ-ემ თერჯოლის რაიონის სოფელ ... ზესტაფონის რაიონის სოფელ ... გადაზიდა ავტომატი და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, რომლებიც შეინახა ვ. გ-ის კუთვნილ, მიტოვებულ სახლში, საიდანაც ამოიღეს პოლიციელებმა 2008 წლის 17 მაისს.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. კ-ეს მიესაჯა: სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით -10 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -6 თვით, მე-2 ნაწილით -3 წლით და 6 თვით, მე-3 ნაწილით -5 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას საბოლოოდ განესაზღვრა 19 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. მან ითხოვა განაჩენიდან სსკ-ის მე-19,108-ე მუხლისა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვა) ამორიცხვა, მისი ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 151-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, ასევე -დამატებითი სასჯელის მოხსნა, რადგან მისი ოჯახი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 სექტემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა ნივთმტკიცებათა ნაწილში და მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2009 წლის 27 აპრილიდან.

კასატორი -მსჯავრდებული რ. კ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ, კერძოდ: მას არ ჰქონია თ. ა-ის მოკვლის განზრახვა, უნდოდა მხოლოდ მისი შეშინება, რათა მისთვის აღარ მიეყენებინა შეურაცხყოფა; იარაღიდან გაისროლა ჰაერში მხოლოდ ორჯერ; დაზარალებულის მოკვლის სურვილის შემთხვევაში, ისეთი მანძილი იყო მათ შორის, რომ აუცილებლად მოკლავდა; თ. ა-ე სროლამდე შევიდა სახლში, რასაც ადასტურებს დაზარალებულის შვილი; სასამართლომ არ გაიზიარა მოწმე შ. ა-ის ჩვენება, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ მსჯავრდებულმა ჰაერში ისროლა მას შემდეგ, რაც დაზარალებული მას ცემდა და ახრჩობდა; სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამიტომ მის მიმართ წარდგენილი სსკ-ის მე-19,108-ე მუხლი უნდა გადაკვალიფიცირდეს 151-ე მუხლზე.

კასატორის აზრით, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები მოპოვებულია კანონდარღვევით; სასამართლომ მტკიცებულებად არ უნდა გამოიყენოს შემთხვევის ადგილზე დათვალიერების ოქმი, გადაუდებელ შემთხვევაში ამოღების ჩატარებისა და ჩხრეკის კანონიერების შემოწმების დადგენილებები, რადგან ისინი მოპოვებულია კანონის უხეში დარღვევით; მასრები უნდა ამოეღოთ სამართალდამცავებს კანონით დადგენილი წესით და არ უნდა მომხდარიყო დაზარალებულის მიერ შეგროვილი და ცელოფნის პაკეტში მოთავსებული მასრების დაკანონება, ამიტომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა.

საყურადღებოა ისიც, რომ საბრალდებო დასკვნითა და განაჩენებით რ. კ-ეს ერთიდაიგივე ქმედებაზე ორჯერ წარედგინა ბრალდება, კერძოდ -სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ამიტომ განაჩენიდან უნდა ამორიცხოს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შენახვა.

მსჯავრდებული ასევე განმარტავს, რომ დანიშნული სასჯელი -19 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 2000 ლარი ჯარიმა -უსამართლოა, რადგან მისი ოჯახი არის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, არ აქვთ საკუთარი სახლი, რ. კ-ე და მისი ორივე და დაავადებულნი არიან ეპილეფსიით და არ აქვს მედიკამენტების შეძენის საშუალება. სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ასეთი მატერიალური მდგომარეობა და დამატებით სასჯელად დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ამიტომ განაჩენი ამ ნაწილშიც უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და მის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მისცა; ასევე -სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამის-

სად, არსებითად დაარღვია კანონი და გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის მე-19,108-ე მუხლიდან 151-ე მუხლზე, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და დამატებითი სასჯელის ამორიცხვას. რაც შეეხება სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებას, თავს ცნობს დამნაშავედ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, დაზარალებულის შვილი -ო. ა-ე თავის არცერთ ჩვენებაში არ მიუთითებს, რომ მამამისი გასროლამდე შევიდა სახლში. მცირეწლოვანი მოწმის ყველა ჩვენება თანმიმდევრული და დამაჯერებელია. მან გარკვევით აღნიშნა, რომ რ. კ-ემ ავტომატი დაუმიზნა დაზარალებულს და ესროლა, რა დროსაც თ. ა-ე შევარდა ეზოში.

ანალოგიურად აღწერს მომხდარს დაზარალებული თ. ა-ე.

დადგენილია, რომ დაახლოებით 45 მეტრიდან გასროლისთანავე დაზარალებულმა 1,9 მეტრი სიმაღლის ლითონის კონსტრუქციით შემოღობილ ეზოს შეაფარა თავი, ხოლო რ. კ-ე მიიმალა. ამდენად, უსაფუძვლოა მსჯავრდებულის მტკიცება, რომ სურვილის შემთხვევაში თ. ა-ეს აუცილებლად მოკლავდა. დაზარალებული მიუთითებს: "სახლში რომ არ შემესწრო, იგი (რ. კ-ე) მომკლავდა კიდეც".

შემთხვევის ადგილზე მყოფი ა. ბ-ის ჩვენებით, მას არაფერი დაუნახავს, თუმცა მოწმე ტ. გ-ე განმარტავს, რომ, როგორც ა. ბ-ისაგან შეიტყო, "რ. კ-ეს უსვრია თ. ა-ისათვის".

მსჯავრდებულის მტკიცებით, მან იარაღიდან შესაშინებლად გაისროლა ჰაერში, თუმცა საქმის მასალების ანალიზით იკვეთება, რომ დაზარალებულის ეზოში შევარდნა გამოიწვია მისთვის ავტომატის დამიზნებამ და სროლამ. ამაზე მეტყველებს შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა პირების რეაქცია, მათ თავი არსად შეუფარებიათ.

რაც შეეხება მოწმე შ. ა-ეს, მისი ჩვენება სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ შ. ა-ის შემთხვევის ადგილზე ყოფნას არ ადასტურებს მომხდართან დაკავშირებით დაკითხული არცერთი მოწმე.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება ცალკეული საგამომიებო მოქმედებების კანონდარღვევით ჩატარების შესახებ. მასრები ამოღებულია დაზარალებულისაგან მომხდარი ფაქტის დღესვე და, როგორც გაირკვა, ისინი გასროლილია იმ ავტომატში, რომლის შეძენა-შენახვა, ტარებასა და გადაზიდვას მსჯავრდებული არ უარყოფს. იგი ასევე არ უარყოფს შემთხვევის ადგილზე, მისივე თქმით, ჰაერში გასროლას. ამდენად, აშკარაა ამოღებული მასრების წარმომავლობა და კავშირი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა ერთიანი -დენადი დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, რაც ამ ნივთების პირის მფლობელობიდან გასვლას (ამოღებას, გასაღებას, ჩაბარებას ან დაკარგვას) გულისხმობს. იარაღის ტარება, მისი ხელახლა შენახვის შემთხვევაში დანაშაულის დენად ხასიათზე გავლენას არ ახდენს, რამდენადაც მას არ წყვეტს. იარაღის შენახვის ადგილმდებარეობის ცვლა, რაც მის ტარებას ან გადაზიდვას მოითხოვს, არ წარმოადგენს პირის ერთიანი ქმედების (იარაღის შენახვის) რამდენიმე, ერთი და იგივე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამორიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი.

გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ რ. კ-ის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიუთითა მისი მიმალვა, რაც არასწორია და ეს მითითება განაჩენიდან უნდა ამორიცხოს.

პალატა მიიჩნევს, რომ რ. კ-ე უნდა გათავისუფლდეს დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმისაგან, კერძოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობით, რ. კ-ის ორივე და დაავადებულია ეპილეფსიით, ოჯახს აქვს მძიმე ეკონომიკური პირობები, არ გააჩნიათ სახლ-კარი და ცხოვრობენ სხვის სახლში. მსჯავრდებულის მეზობლების ოფიციალურად დამოწმებული აქტის მიხედვით, პირადობის მოწმობის უქონლობის გამო ოჯახის წევრებმა ვერ გაიარეს რეგისტრაცია, რათა მოხვედრილიყვნენ სოციალურად დაუცველთა სიაში. ძლიერი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო არასამთავრობო ორგანიზაციამ ოჯახს გადასცა ერთი სული საქონელი.

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ რ. კ-ის ქმედებას არ მოჰყოლია რაიმე შედეგი, მას უნდა შეუმსუბუქდეს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი, როგორც მეტისმეტად მკაცრი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 სექტემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი;

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ბრალდების ეპიზოდში რ. კ-ის ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითებები მსჯავრდებულისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის -2 000 ლარის დანიშნისა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად რ. კ-ის მიმალვის მიჩნევის შესახებ;

სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -10 წლით თავისუფლების აღკვეთა რ. კ-ეს შეუმცირდეს 1 წლით და ამ მუხლით მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და რ. კ-ეს საბოლოოდ განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

განჩინება

#769აპ-09

19 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივლისის განაჩენით დ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ცეცხლსასროლი იარაღს, საბრძოლო მასალას და ასაფეთქებელ მოწყობილობას, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. გ-ემ განიზრახა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შენახვა. ამისათვის მან ქობულეთის რაიონის დაბა ...-ში, ა-ის ქ. #-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში უკანონოდ შეინახა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მიტანილი თვითნაკეთი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მჭიდითა და 17 ვაზნით, თვითნაკეთი რევოლვერი დოლურაში მოთავსებული 8 ვაზნით, „AK-78“ სისტემის ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ერთეული ხელით გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცი „PGD-5“ და ოთხი „F-1“-ის ტიპის ხელყუმბარა ოთხი ფალით, ავტომატის 19 მჭიდი და 2 330 ვაზნა.

2009 წლის 23 მარტს დ. გ-ე დააკავეს ექვმიტანილის სახით, ხოლო მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს ზემოთ დასახელებული საგნები.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. გ-ეს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 23 მარტიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა -2 ათასი ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა გ. დ-მა და მსჯავრდებულის ადვოკატმა ი. გ-ემ. პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა დ. გ-ისათვის სასჯელის ზომად 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 3 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა -განაჩენის გაუქმება და დ. გ-ის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი ი. გ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა უგულვებელყვეს საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ, ასევე -სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილი; სასამართლომ შეგნებულად აუარა გვერდი კანონის მოთხოვნებს, არად ჩააგდო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც მიუთითებდნენ დ. გ-ის უდანაშაულობაზე; განაჩენი გამოტანილია ბრალდების მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო და აბსურდული ჩვენებების საფუძველზე; მეტიც, სასამართლომ დ. გ-ის დაკავების, მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის მოწმეებად ისეთ პირებს მიუთითა, რომლებიც ჩხრეკასა და დაკავებას საერთოდ არ ესწრებოდნენ (გ. ი-ე, ზ. ჩ-ე და დ. ვ-ე); ფსევდონიმებით დაკითხული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის თანამშრომელთა ჩვენებებს მოსამართლემ საკუთარი ინტერპრეტაცია გაუკეთა. ადვოკატის აზრით, დ. გ-ე დაკავებულია პოლიტიკური ნიშნით, მისი პარტიული საქმიანობის გამო, რაც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა; იგი არის პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციის წევრი; მის სახლში იარაღები პოლიციელებმა ჩადეს. როგორ შეიძლება, პირს მხოლოდ იარაღის შენახვა ედებოდეს ბრალად, თუ ისინი არ შეუძენია. თავად მსჯავრდებულის ჩვენებით, იგი სპეცრაზმის თანამშრომლებმა დააკავეს 2009 წლის 23 მარტს ბათუმში, ... ქუჩაზე, დაადეს ხელბორკილი, თავზე ჩამოაცვეს ნიღაბი და ამ მდგომარეობაში ამყოფეს დაახლოებით 4 საათის განმავლობაში, შემდეგ მიიყვანეს თავის საცხოვრებელ სახლში, წელის არესა და საწოლის ქვეშ ჩაუდეს იარაღები და ამის შემდეგ ჩაატარეს ვითომდა „ჩხრეკა“. აღნიშნულს ადასტურებენ მოწმის სახით დაკითხული ხ. მ-ე, ნ. და ლ. გ-ეები. იმას, რომ მსჯავრდებული სახლში არ დაუკავებიათ, თვით ბრალდების მოწმეებიც ადასტურებენ შეუსაბამო და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებით; სპეცრაზმელებმა განაცხადეს, რომ გამომძიებელმა გ-ეების ოჯახში შესვლისთანავე დ. გ-ეს უთხრა, რომ იგი დაკავებული იყო იარაღის უკანონო შენახვისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაატარეს ჩხრეკა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამომძიებელმა იცოდა, რომ იარაღი მათ მიერვე იქნებოდა ჩადებული და დარწმუნებული იყო, რომ მათ ნამდვილად ამოიღებდნენ ბინიდან. აღნიშნულს ადასტურებს ყველა სპეცრაზმელი და ოპერატიული თანამშრომელი, რომლებმაც აჩვენეს, რომ 22 მარტის საღამოს ჩატარებულ თათბირზე მათ განუცხადეს, რომ დ. გ-ე არის დასაკავებელი, რადგან ინახავს იარაღებს; გასაკვირი და საეჭვოა ასეთი თვითდარწმუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი, რომ სახლიდან ნამდვილად ამოიღებენ შენ მიერ მიტანილ იარაღებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ არავის გამოუყვია საქმიდან ცალკე წარმოებად მასალები იმ დაუდგენელი პირის მიმართ, ვისგანაც თითქოსდა შეიძინა იარაღები დ. გ-ემ. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ დ. გ-ის სახლის სათვალთვალოდ გააგზავნეს სამი ოპერატიული თანამშრომელი, რომელთაგან ერთმა -დ. ვ-ემ დაინახა, თუ როგორ მიდიოდა დ. გ-ე სახლისაკენ და აცნობა დანარჩენ ორს, თუმცა მათ ჭიშკარში შესული და გამოსული არავინ დაუნახავთ; ე.ი. გამოდის, რომ დ. ვ-ეს დაუნახავს სხვა პირი (თუ საერთოდ ვინმე დაინახა განათების არქონის პირობებში). დ. გ-ეს შეხება რომ არ ჰქონის თავისი სახლიდან ამოღებულ იარაღებთან, ამას ადასტურებს დაქტილოსკოპიური ექსპერტის მიერ გაცემული დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ვერ მოხერხდა დაქტილოსკოპიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზების ჩატარება, რადგან იარაღებზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის შემდეგ მათზე დარჩებოდა ექსპერტ-ბალისტიკოსის ხელის კვლები, რომლებიც გადაფარავდა ნივთმტკიცებაზე მანამდე არსებულ კვლებს, ამიტომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეუწონელიაო. სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებლად ითვლება, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის ან მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის, ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის აზრით, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40, სსსკ-ის 1-ლი, მე-10, მე-18, მე-19, 45-ე, 132-ე, 496-ე და 503-ე მუხლების

მოთხოვნები, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, დ. გ-ე გამართლდეს და გათავისუფლდეს უკანონო პატიმრობიდან.

მსჯავრდებული დ. გ-ე თავის საჩივარში მიუთითებს, რომ უდანაშაულოა და დააკავეს პოლიტიკური ნიშნით; საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ამდენად, კასატორი მოითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას ან სასჯელის შემსუბუქებას, მისი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორების მითითება სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ. საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის ყველა შუამდგომლობა, ხოლო სააპელაციო პალატის მიერ საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საქმის გარემოებათა არასრულ და არაობიექტურ გამოკვლევაზე არ მეტყველებს. სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატა უფლება-მოხილი იყო, საჩივარი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ნივთიერი მტკიცებულებები დალუქული სახით წარედგინა საექსპერტო დაწესებულებას და არ არსებობს მათი შესაძლო გამოცვლის ან ნიშნებისა და თვისებების შეცვლის ვარაუდის საფუძველი. ნივთმტკიცებების დაუშვებლად მიჩნევის საფუძველს არც მათზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის არჩატარება წარმოადგენს.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომლებიც უტყუარად ადასტურებს დ. გ-ის ბრალეულობას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ბრალდების ეპიზოდში, კერძოდ:

დ. გ-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა ჩატარდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ოქმებს ხელი მოაწერა თვით დ. გ-ემაც და პრეტენზია არ გამოუთქვამს.

საგამომიებო მოქმედებათა კანონშესაბამისად ჩატარებაზე მეტყველებს დ. გ-ის მეუღლისა და დედის -ლ. და ნ. გ-ეების ჩვენებებიც. ლ. გ-ე აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე ჩხრეკისას პოლიციელებს დაჰყვებოდა. დ. გ-ემ უთხრა, რომ ამოღებული ჩანთა საწოლის ქვეშ იდო. მართალია, მოწმე მიუთითებს, რომ ჩანთა მოიტანეს პოლიციელებმა, მაგრამ იმავე ჩვენებაში აღნიშნავს -არ ვიცი, ეს ჩანთა იქ საიდან აღმოჩნდაო. ამავე ჩვენებით, დამსწრეების მოწვევაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ პოლიციელები სახლში დადიოდნენ და იცოდნენ, "რაც მოტანილი ექნებოდათ".

მსჯავრდებულის დედის -ნ. გ-ის ჩვენებით, მის შვილს გამომიებელმა განუმარტა დამსწრეთა მოწვევის უფლება, რაზეც უარი განუცხადა. შემდეგ დ. გ-ეს შესთავაზეს, მისი მონაწილეობით გაეჩხრიკათ სახლი.

დ. გ-ე მიუთითებს, რომ დააკავეს ქუჩაში, თავზე ჩამოაცვეს ნიღაბი და მიიყვანეს თავის სახლში, სადაც მეორე სართულზე დაახლოებით 20 წუთი კედელთან დააყენეს, ხოლო ნიღაბი თავზე კიდევ ნახევრი საათი ეკეთა და იმ ოთახში მოხსნეს, სადაც მისი მეუღლე და დედა იმყოფებოდნენ. მას განუმარტეს დამსწრეთა მოწვევის უფლება, რაზეც უარი განაცხადა. პოლიციელებმა დ. გ-ის საწოლის ქვემოდან ამოიღეს დიდი ჩანთა, რაც ვიდეოკამერით დაფიქსირდა.

ლ. და ნ. გ-ეები არ აცხადებენ, რომ დ. გ-ეს თავზე ნიღაბი ჰქონდა. ლ. გ-ის ჩვენებით, ეზოდან მოესმა ფეხის ხმა და მიხვდა, რომ სახლში უცხო პირები შემოვიდნენ. ამის შემდეგ პირველად გაიღო ნ. გ-ის ოთახის კარი, შემდეგ კი ლ. გ-ის საძინებელ ოთახშიც შევიდნენ პოლიციელები.

აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით უარყოფილია დ. გ-ის განმარტება, თითქოს იგი საკუთარ სახლში დაახლოებით 50 წუთი თავზე ნიღაბფარებული ამყოფეს ისე, რომ მისმა დედამ და მეუღლემ ვერაფერი გაიგეს, მათ შორის -საწოლის ქვეშ დიდი ჩანთით იარაღის ჩადებაც. მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებებით ცხადი ხდება, რომ საძინებელში, საიდანაც ამოიღეს იარაღი, პოლიციელები მარტო ვერ დარჩებოდნენ, რადგან იქ შევიდნენ დ. გ-ესთან ერთად, მანამდე კი ოთახში მსჯავრდებულის მეუღლე იმყოფებოდა.

დ. გ-ის ჩვენება საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ მისი თქმით, პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან იფიქრა, ამოღებულ იარაღებზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ჩატარდებოდა და გაამართლებდნენ, თუმცა მისივე განმარტებით, დაკავებამდე ორი დღით ადრე, ერთ-ერთ ბინაში ნახა იარაღი, რომელიც აიღო კიდევ, მაგრამ მაშინვე იქ მყოფს დაუბრუნა.

თანმიმდევრული და დამაჯერებელია ბრალდების მხარის მოწმეთა, მათ შორის -გ. ი-ის, ზ. ჩ-ისა და დ. ვ-ის ჩვენებები, რომლებიც უთვალთვალებდნენ დ. გ-ის სახლს. ბუნებრივია, რომ

გ. ი-ემ და ზ. ჩ-ემ ვერ დააფიქსირეს დ. გ-ის სახლში მისვლა, რადგან სხვადასხვა პერიმეტრზე განლაგდნენ -ზ. ჩ-ე ეზოს ჭიშკარს ვერ ხედავდა, ხოლო გ. ი-ე 200-300 მეტრით მოშორებით იდგა. დ. ვ-ე ყველაზე ახლოს იდგა სახლთან. მას დ. გ-ემ 5 მეტრში ჩაუარა და სახლში შევიდა. ამის შესახებ დ. ვ-მ ელსმენით გადასცა და მოვიდნენ პოლიციელები.

ის გარემოება, რომ დ. გ-ეს ბრალი არ ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენაში, მის უდანაშაულობაზე არ მეტყველებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შეძენა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

ექსპერტიზის დასკვნით, დ. გ-ისაგან ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობები სავარაუდოდ ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამატყუებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ამდენად, ასაფეთქებელი მოწყობილობების შენახვის ბრალდების ეპიზოდში დ. გ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

პალატა ითვალისწინებს, რომ სხვა პირისაგან ამოღებული ნივთები, მათ შორის -ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ნივთმტკიცებად ერთვის ამ პირის მიმართ ცალკე წარმოებად გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეს.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის პიროვნების, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მათ შორის -ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის რაოდენობის გათვალისწინებით, დ. გ-ისათვის დანიშნული სასჯელი არ არის მკაცრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. გ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი გაუქმდეს ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შენახვისათვის დ. გ-ის მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

განჩინება

#45-აპ-10

20 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ჩ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -ე. ო-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ი. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით 6 თვით, 236-ე მუხლის

II ნაწილით -3 წლით, ხოლო 236-ე მუხლის III ნაწილით -5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 17 მაისიდან.

განაჩენით ი. ჩ-ს მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ჩ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „აკ-74“ მოდიფიკაციის, 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ სისტემის სროლისათვის ვარგისი ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი და 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრიანი 278 ვაზნა, რომელთაც დროგამოშვებით მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და ინახავდა საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ქუთაისში, ხ-ის ქ. #...-ში.

2009 წლის 17 მაისს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქ. წყალტუბოში, ტ-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის მუშაკებმა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩაატარეს ა/მანქანა „ოპელ-ვექტრას“ ჩხრეკა, რა დროსაც მართავდა ჯ. კ-ი რა დროსაც ავტომობილის უკანა სალონიდან ამოიღეს ი. ჩ-ის კუთვნილი, შავი სპორტული ჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ზემოხსენებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ქ. თ-ემ, ასევე მსჯავრდებულმა ი. ჩ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

აპელანტი, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორი ქ. თ-ე ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, ი. ჩ-ისათვის 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის -6000 ლარის შეფარდებას.

აპელანტი, მსჯავრდებული ი. ჩ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. ო-ე დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ მსჯავრდებულის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და III ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო იმავე მუხლის II ნაწილით დანიშნული სასჯელის, პირობითი მსჯავრით შეცვლას საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენით წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ი. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1000 ლარი, 236-ე მუხლის II ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი, ხოლო 236-ე მუხლის III ნაწილით 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ი. ჩ-ს სასჯელად განესაზღვრა 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. ჩ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. ო-ემ საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. აპელანტები ითხოვენ მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და III ნაწილებით წარდგენილი ბრალდებების ამორიცხვას, ხოლო იმავე მუხლის II ნაწილით პირობითი მსჯავრის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ი. ჩ-ის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: მ. ბ-ის, გ. ა-ის, ჯ. კ-ის, ვ. მ-ის ჩვენებებით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, ა/მანქანის ჩხრეკის ოქმებით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით უტყუარად დასტურდება ი. ჩ-ის მიერ მასზე ბრალად

შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების გარდა.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის -ე. ო-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და იმავე მუხლის III ნაწილებით მსჯავრდებულისათვის წარდგენილ ბრალდებაში საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ უსაფუძვლოდ გამო.

ი. ჩ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილით -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ნაწილში -საქმის მასალებით არ დასტურდება.

პალატა განმარტავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება ითვლება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობად, რომელიც გამოიხატება იარაღთან ერთად გადაადგილებაში, იმ პირის მიერ, ვისაც ამის კანონიერი უფლება არა აქვს. ამასთან, ტარება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მთავარია, იარაღის გადაადგილება მიზნად არ ისახავდეს ერთი ადგილიდან მის გადატანას სხვა დასახლებულ პუნქტში. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს პირის მიზანზე, თუ ცეცხლსასროლი იარაღის გადაადგილება ხდება სხვა ქალაქში ან დასახლებულ პუნქტში გადასატანად, მაშინ საქმე გვაქვს უკანონო გადაზიდვასთან. მსჯავრდებულ ი. ჩ-ის ჩვენებით და საქმის სხვა მასალებით კი დადგენილია, რომ დაკავების დღეს მას სურდა ცეცხლსასროლი იარაღის წაღება ქუთაისიდან ქ. სენაკში. ამდენად, როგორც მსჯავრდებულის ჩვენებიდან ირკვევა, მის მიზანს წარმოადგენდა სწორედ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაადგილება ერთი ადგილიდან სხვა დასახლებულ პუნქტში. ამ მიზნის განსახორციელებლად, მსჯავრდებულმა ქ. ქუთაისში დაიქირავა ტაქსი, რის შემდეგაც გადაადგილდა ქ. წყალტუბოში, რითაც ფაქტობრივად უკვე განხორციელა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვა ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორე დასახლებულ პუნქტში.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების ნაწილში.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად: "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ".

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ი. ჩ-მა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარება. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ი. ჩ-ს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო; შესაბამისად, მას უნდა მოეხსნას აღნიშნული ნორმის საფუძველზე დანიშნული როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ჩ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -ე. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ი. ჩ-ს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ი. ჩ-ის მიმართ დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელებს გამოაკლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები -თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა -2000 ლარი, რის გამოც ი. ჩ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და იმავე მუხლის III ნაწილების საფუძველზე დანიშნული სასჯელები, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეიკრიბოს და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -4000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

განჩინება

#1014აპ-09

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განაჩენით რ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 17 ივნისს, ქარელის რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელებმა დააკავეს რ. კ-შვილი და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს დაუდგენელ დროსა და გარემოებებში შეძენილი, 9 მმ კალიბრის, თავდაცვითი ტიპის აირისა და საფანტის პისტოლეტი „მაკაროვი“, რომელსაც ლულაში არ უყენია გამანაწილებელი ტიხარი, სროლისათვის ვარგისია და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და 9 მმ კალიბრის, პისტოლეტისათვის განკუთვნილი, თვითნებურად დამუხტული ერთი ვაზნა.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. კ-შვილს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 17 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა რ. რ-შვილმა, რომელმაც ითხოვა განაჩენის გაუქმება და რ. კ-შვილის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა. ამასთან, ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: რ. კ-შვილს ძირითად სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -5 ათასი

ლარი. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულს შეუმსუბუქდა სასჯელი პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა -2 ათასი ლარი. რ. კ-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან.

კასატორი -მსჯავრდებულ რ. კ-შვილის ადვოკატი რ. რ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

რ. კ-შვილის ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში არ არის მითითებული, სსსკ-ის 142-ე მუხლის რომელი პუნქტის საფუძველზე დააკავეს იგი; რ. კ-შვილის დაკავების საფუძველად მითითებულია, რომ მას დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რაც თავისთავად აბსურდია; საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ოპერატიული ინფორმაციის არსებობა არ წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების ფაქტს, მეტიც, ეს ორი ცნება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ რ. კ-შვილის დაკავების საფუძველი ვერ იქნება სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; აქედან გამომდინარე, უკანონოა მისი პირადი ჩხრეკაც.

კასატორის აზრით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრება ნიშნავს დანაშაულის ფაქტის უშუალო აღქმას; სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-3 და 325-ე მუხლის მე-3 ნაწილების თანახმად, ექვმიტანილის პირადი ჩხრეკა კი ხდება ექვის საფუძველზე, ანუ იმ სიტუაციაში, როდესაც დაკავების დროს არ არის ცნობილი, ექვმიტანილს იარაღი აქვს თუ არა, ანუ არ არსებობს დანაშაულზე წასწრების ფაქტი. ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარება ობიექტურად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას წარმოადგენს. რ. კ-შვილისათვის წარდგენილი ბრალდება შეთხზული და მოგონილია; ჩხრეკისა და დაკავების ოქმის სიყალბეზე მიუთითებს ბრალდების მოწმეების -გ. თ-ძისა და ნ. მ-შვილის ჩვენებებიც. დაცვის მხარის მოწმე ი. ნ-შვილის ჩვენებით, რ. კ-შვილის დაკავებისას არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ჰქონია. აღნიშნულ გარემოებას სათანადო შეფასება არ მისცა სასამართლომ.

ადვოკატის განმარტებით, განაჩენში ასახული ყველა დასკვნა ცალმხრივია და არ გამომდინარეობს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნებიდან. სასამართლოს არც კი უცდია ზემოაღნიშნული დარღვევების შემოწმება, მათზე, უბრალოდ, არ იმსჯელა. სასამართლომ მტკიცებულებები არ შეამოწმა, არ შეაფასა და არც ერთი თავისი დასკვნა არ დაასაბუთა, რითიც დაარღვია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები.

ადვოკატ რ. რ-შვილის აზრით, დაუსაბუთებელი და უკანონოა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 აგვისტოს საოქმო დადგენილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ნოემბრის საოქმო განჩინება, რადგან მოიცავს მხოლოდ მხარეთა მოსაზრებების აღწერას და სასამართლო დასკვნები დასაბუთებული არ არის; მეტიც, სააპელაციო სასამართლო განაჩენში განზრახ ამახინჯებს დაცვის მხარის მოსაზრებებს და მათით მანიპულირებას ეწევა. სასამართლოს მოსაზრებით, „საქმეში არსებული მტკიცებულებები შეიძლება არ იყოს საკმარისი პირის ექვმიტანილად ცნობისათვის, მაგრამ საკმარისი იყოს პირადი ჩხრეკის ჩატარებისათვის“; აღნიშნული დასკვნა ექვქვემ აყენებს სისხლის სამართლის საქმეში მითითებული საფუძვლით რ. კ-შვილის პირად ჩხრეკასა და დაკავებას, ასევე, ოქმში მითითებული დაკავების საფუძვლის კანონიერებასა და მის შესაბამისობას საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. სასამართლომ ფაქტობრივად დაასკვნა, რომ, შეიძლება, საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულებები რ. კ-შვილის დასაკავებლად, მაგრამ დაუშვა მისი გაჩხრეკის შესაძლებლობა, რაც აბსურდია. სასამართლომ დანაშაულის ფაქტზე წასწრება „დანაშაულის ჩადენის ეჭვად“ შეაფასა, რაც თავისთავად დანაშაულის ფაქტის ექვქვემ დაყენებას ნიშნავს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ნივთმტკიცება -უცხოური წარმოების პისტოლეტი „მაკაროვი“ სასამართლო გამოძიებისას საერთოდ არ გამოკვლეულა; ეს იარაღი არ უნახავთ არ მსჯავრდებულს და არც -მის ადვოკატებს. სასამართლომ მტკიცებულებად დაიმოწმა ნივთმტკიცება, რომლის დამოწმების საპროცესო უფლება არ ჰქონდა, თანახმად სსსკ-ის 490-ე მუხლის მე-4 ნაწილისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი რ. რ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ნოემბრის განაჩენისა და ამავე თარიღის საოქმო განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივებს მტკიცებულებების კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით მოპოვების შესახებ და განმარტავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ტარება დენადი და-

ნაშაულია და მისი ამოღება, ანუ ამ დანაშაულის შეწყვეტა დანაშაულის ჩადენისას წასწრებაზე ნათლად მიუთითებს. თავისთავად ცხადია, მხოლოდ ექვმიტანილის დაკავება მტკიცების საგნის ყველა გარემოების დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა და სწორედ ამიტომ, აუცილებელია ცალკეული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებით (მათ შორის –პირადი ჩხრეკით) როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა (იარაღის ამოღება), ისე იმ მტკიცებულების მოპოვება, რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ ამოცანებს ემსახურება 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიც, რომლის მიზანია არა მხოლოდ დანაშაულის აღკვეთა, არამედ მტკიცებულებათა მოპოვებაც. ორივე აღნიშნული ამოცანა ერთდროულად ხორციელდება პირადი ჩხრეკისას ამა თუ იმ საგნით დაფუძნებული რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დენადი დანაშაულის დროს (მაგ. ნარკოტიკის შენახვისას). სწორედ ამიტომ, ექვმიტანილის დაკავების შემდეგ ნებადართულია მისი პირადი ჩხრეკაც, მით უფრო, თუ არსებობს მტკიცებულების გადამალვის საშიშროება.

მოცემულ შემთხვევაში დაკავების ოქმში მითითებულია, თუ რა დანაშაულის ჩადენაში იყო ექვმიტანილი რ. კ-შვილი და რომ არსებობდა მტკიცებულებათა გადამალვის რეალური საფრთხე. პირადი ჩხრეკა ამის გამოც ჩატარდა.

კასატორი ეყრდნობა ივანე ნ-შვილის ჩვენებას, თუმცა ამ ჩვენებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა შეუძლებელია, კერძოდ, მოწმე მიუთითებს, რომ რ. კ-შვილი არავის გაუჩხრეკია, შემდეგ აღნიშნავს, რომ ბალიდან მამინ გამოვიდა, როცა დაკავებულს უკვე ავტომანქანაში ათავსებდნენ. ამავე ჩვენებაში ი. ნ-შვილი აღნიშნავს, რომ 100 მეტრი მანძილიდან დაინახა, როგორ ჩასვეს მანქანაში დაკავებული, რა დროსაც პოლიციელებს ჰკითხა, რაში იყო საქმე. იგი შემდეგ მიუთითებს, რომ პოლიციის მანქანა "ნამკვებს ჩამოჰყვანა" და არ იცის, "იქ რა მოხდა".

საფუძველს მოკლებულია კასატორის მოტივი, თითქოს სააპელაციო პალატის დასკვნა ექვქვემ აყენებს რ. კ-შვილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის კანონიერებას.

გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულია, რომ ცალკეულ შემთხვევაში (და არა მოცემულ შემთხვევაში) შესაძლებელია ნებისმიერი პირის პირადი ჩხრეკა, თუკი არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. კონკრეტულ შემთხვევაში კი ამგვარი საფუძველი მით უფრო იყო, რადგან რ. კ-შვილი დაკავებს ექვმიტანილის სახით და არსებობდა მტკიცებულებათა გადამალვის საფრთხე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

ექსპერტიზის დასკვნით, რ. კ-შვილისაგან ამოღებული საბრძოლო მასალა სავარაუდოდ ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამატყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ამდენად, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარების ბრალდების ეპიზოდში რ. კ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა.

პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა კასატორის მითითება მტკიცებულებათა კანონდარღვევით მოპოვების შესახებ. გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს და ეს განაჩენი, გარდა ბრალდების ზემოაღნიშნული ეპიზოდისა, დასაბუთებულია. ამასთან, საქმის განხილვისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა, ხოლო დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. კ-შვილის ადვოკატ რ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განაჩენი გაუქმდეს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარებისათვის მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში რ. კ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.